სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა პირმა თბილისის საკრებულოსგან კომპენსაცია მიიღო

თბილისის საკრებულომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს 43 750 ლარი გადაუხადა. საკრებულოსა და სამსახურიდან გათავისუფლებულ პირს შორის 2013 წელს დაწყებული დავა საბოლოოდ 2020 წელს მორიგებით დასრულდა.

მოსარჩელე 2013 წლიდან სასამართლოში უკანონო გათავისუფლებასა და სამსახურში აღდგენაზე დავობდა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით საკრებულოს მიერ მიღებული გათავისუფლების ბრძანება სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და საკრებულოს დაავალა საკითხის ხელახალი შესწავლის შემდგომ გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენა. თუმცა მოპასუხემ კვლავ არ აღადგინა პირი სამსახურში. ამის შემდგომ დაიწყო ხელახალი დავა მხარეებს შორის, რომელიც ისევ დასრულდა მოსარჩელის სასარგებლოდ, თუმცა მოპასუხემ კვლავ არ აღასრულა გადაწყვეტილება. შესაბამისად, საჭირო გახდა ხელახალი სარჩელის შეტანა.

საია დასაქმებულის ინტერესებს სასამართლოში გათავისუფლებიდან დღემდე იცავდა.